დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს

დონალდ ტრამპი აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს, რაც მისი გამორჩეული დაბრუნებაა თეთრ სახლში ოთხი წლის შემდეგ.

78 წლის ტრამპმა ოთხშაბათს თეთრი სახლი დაიბრუნა მას შემდეგ, რაც მოიპოვა საარჩევნო კოლეგიის საჭირო 270 ხმაზე მეტი, Edison Research-ის პროგნოზის მიხედვით. გადამწყვეტი შტატის, ვისკონსინის, მოგებამ მას გამარჯვება მოუტანა.

„ამერიკამ მოგვცა უპრეცედენტო და ძლიერი მანდატი," – განაცხადა ტრამპმა ოთხშაბათ დილით ფლორიდაში, პალმ-ბიჩის საკონვენციო ცენტრში შეკრებილ მხარდამჭერებთან.

დონალდ ტრამპმა რესპუბლიკელთა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატ ჯეი დი ვენსთან ერთად, თავის მხარდამჭერებს საზეიმო სიტყვით მიმართა. მან მხარდაჭერისთვის ოჯახის წევრებს და თანამებრძოლებს დიდი მადლობა გადაუხადა და ამომრჩევლებს დაპირებათა შესრულების პირობა კიდევ ერთხელ მისცა.

რადიო „თავისუფლება"

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 18 (104783) 13 ნოემბერი, 2024 წ. ფასი 1 ლარი.

არტემ და ანზორ ერქომაიშვილების შესახებ ფილმს იღებენ

ალიონი. რეჟისორი გიორგი ჭუმბურიძე მოკლემეტრაჟიან ფილმს იღებს ქართული ფოლკლორის მოამაგეების, ცნობილი ლოტბარის, მომღერლის, თვითნასწავლი კომპოზიტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **არტემ ერქომაიშვილისა** და ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის, ხალხური სიმღერების შემკრების, საგუნდო დირიჟორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერის, შოთა რუსთაველის, ივანე ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ალბერტ შვაიცერის სახელობის პრემიების ლაურეატის **ანზორ ერქომაიშვილის** შესახებ.

გადაღებები მიმდინარეობდა ფილმის გმირების მშობლიურ სოფელ მაკვანეთსა და სოფელ ლიხაურში.

თუ როგორ წარიმართა გადაღებები, ფილმის რეჟისორს **გიორგი ჭუმბურიძეს** ვესაუბრეთ:

– ამჟამად, ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი კინოცენტრის ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებულ მოკ-

▶▶▶ გვ–2

26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვა დასრულდა



ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა **გიორგი სანტურიანმა** მედიას 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით საჩივრების განხილვის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გააცნო. როგორც გიორგი სანტურიანმა აღნიშნა, საჩივრების განხილვის პროცესი საოლქო საარჩევნო კომისიებში დასრულდა.

„მთლიანობაში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში ჯამურად წარმოდგენილი იყო 1201 საჩივარი. მათგან 537 შეეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ბათილად ცნობას ან გადათვლას. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით წარმოდგენილი იყო 466 საჩივარი, ხოლო მოთხოვნის გარეშე 47. ისეთი საჩივრების რაოდენობა, სადაც დაფიქსირებული იყო შესაბამისი რეაგირების თვალსაზრისით მოთხოვნა ან შესაბამისი ქმედების განხორციელების თაობაზე მოთხოვნა, ამგვარი საჩივრების რაოდენობა იყო 151.

წარმოდგენილი საჩივრებიდან ჯამურად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან დაკმაყოფილდა 167; არ დაკმაყოფილდა 917; განუხილველად დარჩა 107 საჩივარი, რაც მთლიანობაში წარმოდგენილი საჩივრების 8.9%-ია. საჩივარი გაითხოვეს 3 შემთხვევაში. ამ ეტაპზე მხოლოდ 10 საჩივარია განხილვაში, რომელიც არ შეეხება კენჭისყრის შედეგებს, ან უშუალოდ არ არის დაკავშირებული შედეგებთან და შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას. აღნიშნული საჩივრების განხილვის ვადა 10 დღეა და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა საუბნო საარჩევნო კომისიების 290 წევრს. საერთო ჯამში, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, გაბათილდა 12 გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები. მათ ნაწილთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილი იყო შესაბამისი საჩივრები. ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გადაითვალა 12 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები, რომელთა ნაწილთან დაკავშირებითაც ასევე წარმოდგენილი იყო შესაბამისი საჩივრები.

მთლიანობაში, კანონით გათვალისწინებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ჯამურად გადაითვალა 427 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები და ხელახალი დათვლის შედეგებმა არსებითი ცვლილებები საბოლოო შედეგებში ვერ შეიტანა. საერთო ჯამში ცვლილებები, შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოა.

ასევე გაგაცნობთ შესაბამის ინფორმაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით. აქ იგულისხმება ისეთი საჩივრები, რომლებიც შეეხებოდა აგიტაციისა თუ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული წესების შესაძლო დარღვევას. სულ წარმოდგენილი იყო 114 საჩივარი. მათი უმრავლესობა შეეხებოდა სოციალური ქსელებით აგიტაციას. ჯამურად ამგვარი საჩივრების რაოდენობა იყო 65 და განხილვების შედეგად, შედგა 12 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გადაიგზავნა სასამართლოებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შემდგომში გასაჩივრდა საერთო სასამართლოებში. კერძოდ, პირველ ინსტანციის სასამართლოებში დავები სრულადაა დასრულებული, რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოებს, მხოლოდ ერთი საქმე იყო ჩანიშნული დღეს. შედეგთან დაკავშირებით ჯერ ინფორმაცია არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციაში, ისე საერთო სასამართლოებში, ფაქტობრივად, სარჩევნო დავების განხილვა სრულად დასრულებულია", – განაცხადა გიორგი სანტურიანმა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ლანჩხუთის მერმა 106 წლის შურა გოგუაძეს დაბადების დღე მიულოცა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** პირველ მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძესთან** ერთად სოფელ ნინოშვილში, 106 წლის **შურა გოგუაძეს** ესტუმრა და დაბადების დღე მიულოცა.

ლანჩხუთის მერმა უხუცეს ქალბატონს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

შურა გოგუაძეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამიდან (ხანდაზმულ, 100 და მეტი წლის ასაკის, პირთა დახმარება) ანგარიშზე 1500 ლარი დაერიცხა.

არტემ და ანზორ ერქომაიშვილების შესახებ ფილმს იღებენ

ლემეტრაჟიან ფილმს „შავი შაშვი ჩიოდაო“ იღებს, რომელიც ორი ბუმბერაზი ადამიანის – ბაბუა – შვილიშვილის არტემ და ანზორ ერქომაიშვილების შესახებ მოგვითხრობს.

იდეის ავტორი მე გახლავართ, სცენარი გიორგი ალავიძესთან ერთად დავწერეთ.

ფილმის რედაქტორი სოსო ჭუმბურიძეა.

ფილმში დაკავებულნი არიან მსახიობები: ირაკლი კავსაძე, მიშო ჯავახიშვილი; ცნობილი მომღერლები: ზურაბ ჩხაიძე (ასკანელი), ტრისტან სიხარულიძე, ლევან ნინიძე. პატარა ანზორის როლს მიქაელ სალარიძე ასრულებს.

გურიაში გადაღებები 1 ნოემბერს დავიწყეთ და 10 დღეში დავასრულეთ. რამდენიმე სცენა გადავიღეთ ერქომაიშვილების მშობლიურ სოფელ მაკვანეთსა და ლიხაურში. საზოგადოების ინტერესი და მხარდაჭერა დიდი იყო. ნაწილი სცენების გადაღება თბილისში განვახორციელეთ.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი 20 წუთიანია და სავარაუდოდ სამონტაჟო სამუშაოებს მომავალი წლის დასაწყისში დავასრულებთ –გვითხრა მან.

გაზეთ „ალიონის“ კითხვაზე, ხომ არ აპირებენ ამ ფილმის გაგრძელებას, რეჟისორმა გიორგი ჭუმბურიძემ გვიპასუხა:

– ვფიქრობთ, მომავალში სრულმეტრაჟიანი ფილმი გადავიღოთ. ეს კი სპონსორებზეა დამოკიდებული.

ანსამბლ „როკვას“ კონცერტი ჩოხატაურში

ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლ „როკვას“ (ანსამბლის ხელმძღვანელი ზვიად ჯიქია) კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებას მოწვეული სტუმრები, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალურმა ინსპექციამ სამოქალაქო ორგანიზაცია „თავისუფლებისათვის“ დააჯარიმა

ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოძრაობა „თავისუფლებისათვის“, საკუთარი ოფისის აივნიდან, საპროტესტო პოსტერის გადმოფენის გამო, ოზურგეთის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ (ყოფილი ზედამხედველობის სამსახური) განმეორებით, 3000 ლარით დააჯარიმა.

ცნობისათვის, ორი დღის წინ, ოზურგეთის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ, მოძრაობა „თავისუფლებისათვის“, საკუთარი ოფისის აივნიდან, ქალაქ ოზურგეთი-ჭავჭავაძის ქუჩა, საპროტესტო პოსტერის გადმოფენის გამო, 1500 ლარით დააჯარიმა.

მოძრაობა „თავისუფლებისათვის“ დამფუძნებელი ოთარ რევიშვილი აცხადებს, რომ, საკუთარი ოფისის აივნიდან საპროტესტო პოსტერის გადმოფენის გამო ოზურგეთის ზედამხედველობის ინსპექციამ განმეორებით, უკვე 3000 ლარით დააჯარიმა.

„ადგილზე არ ვიმყოფებით, ტელეფონით მომახსენეს და კიდევ ერთხელ დაჟინებით ამტკიცებენ, რომ რაღაცას ვარეკლამებთ. სისტემა რუსულ სტილში აგრძელებს რეპრესიებს! ახლაც გაგიმეორებთ, რაც გინდათ ის წერეთ, თავისუფალ ადამიანებს ვერ გაგვაჩუმებთ!“

სადამკვირვებლო მისია „ჩემი ხმის“ წევრთა პროკურატურაში დაბარების შემდგომ, ხელისუფლება ზეწოლის მცდელობებს განაგრძობს. ოზურგეთში ორგანიზაცია „სამოქალაქო მოძრაობა თავისუ-ფლებისთვის” უკანონო დაჯარიმება ამ მცდელობის ნაწილია.

არ გადავიხდით ჯარიმას, არც პროტესტს შევწყვეტთ, რადგან ის პროცესები, რაც ქვეყანაში ხდება, ასამარებს ჩვენ ევროატლანტიკურ მომავა-ლს.“–წერს სოციალურ ქსელში ოთარ რევიშვილი.

ლანჩხუთში ძირითადი და მნიშვნელოვანი პროექტები განიხილეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, მოადგილეებთან ერთად, სამსახურების უფროსებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც ის ძირითადი და მნიშვნელოვანი პროექტები განიხილეს, რომლებიც მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება.

ალექსანდრე სარიშვილმა მოისმინა ინფორმაცია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები. ნაპირსამაგრების მოწყობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ქალაქში გურიელისა და მორჩილაძის ქუჩებზე დაიგო ასფალტის საფარი, რაც მომავალშიც გაგრძელდება და წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ქუჩა მოწესრიგდება.

აქტიურად გრძელდება ახალი სპორტული სკოლის მშენებლობა და ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობა.

მერის პირველმა მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძემ** უახლოეს პერიოდში დაგეგმილ კულტურულ და ახალგაზრდულ პროექტებზე ისაუბრა.

მუნიციპალიტეტის მერმა დაავალა შესაბამისი სამსახურების უფროსებს მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ მიმდინარე პროექტების ხარისხიანად შესრულებასთან დაკავშირებით.

მოქალაქეებისთვის სრულიად უფასოდ აიზომა 1.5 მლნ-ზე მეტი მიწის ნაკვეთი

ოქტომბრის მდგომარეობით, რეკორდულ ვადებში, მოქალაქეებისთვის სრულიად უფასოდ აიზომა 1.5 მლნ-ზე მეტი მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობით 880 000 ჰა-ზე მეტი, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რეფორმის მიზანია მიწის რესურსის ეკონომიკურ ბრუნვაში მოქცევა, ასევე საკუთრების უფლების მაქსიმალურად რეალიზება.

„ამ მიზნით, 2022 წლიდან, ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმა. ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება მიწის სისტემური რეგისტრაცია. რეფორმა გულისხმობს მოქალაქეები-სთვის მიწის უფასოდ აზომვას, ყველა საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტების, მონაცემების არქივში მოძიებას, უწყებათაშორის კოორდინაციას და საბოლოო ჯამში მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას“, – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ მიწის სისტემური რეგისტრაცია დასკვნით ფაზაშია და ოქტომბრის მდგომარეობით, საკუთრების უფლება მილიონზე მეტ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა.

„შესაბამისად, მილიონზე მეტი ადამიანი გახდა მიწის რეგისტრირებული მესაკუთრე. რეგისტრირებული მიწის ჯამური ფართობი არის 784 000 ჰა, რაც ძალიან შთამ-ბეჭდავი მონაცემია.

ასევე, გასული წლის პირველი ოქტომბრიდან გაფორმდა მემორანდუმი თბილისის მერიასთან, რომლის ფარგლებშიც სისტემური რეგისტრაცია დედაქალაქშიც დაიწყო. რეგისტრირდება არა მხოლოდ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები, არამედ სწორდება 15-20 წლის წინ არასწორად განხორციელებული რეგისტრაციებიც“,- აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერის თქმით, პროექტის მასშტაბების და შედეგების გათვალისწინებით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მიწის სისტემური რეგისტრაციის გაგრძელების თაობაზე.

„ჯერ კიდევ არიან მოქალაქეები, რომლებსაც არ დაურეგისტრირებიათ მიწის ნაკვეთები. ასეთია ნახევარ მილიონამდე მიწის ნაკვეთი მთლიანობაში და 2025 წლის ბოლომდე ამ მოქალაქეებსაც ექნებათ საშუალება, სრულიად უფასოდ დაირეგისტრირონ კუთვნილი მიწის ნაკვეთები. რეფორმის დასრულების შედეგად, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი აღარ იარსებებს ქვეყანაში, შეიქმნება ერთიანი, სრულყოფილი საკადასტრო მონაცემთა ბაზა, საბოლოოდ გაიმიჯნება ერთმანეთისგან კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მდებარეობა და გაირკვევა მესაკუთრის ვინაობა. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან სრულად იქნება უზრუნველყოფილი საკუთრების უფლების დაცვა,“- განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს, სამინისტროს თანამშრომლებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ყველა ადამიანს, ვინც ჩართულია რეფორმის წარმატებით განხორციელებაში.

შრომის უსაფრთხოება და მონიტორინგი - პროექტის ზამთრისთვის მოსამზადებელი გეგმა

ინტერვიუ -ბახვი ჰესის შრომისა და უსაფრთხოების ხელმძღვანელთან, მიხეილ ნატროშვილთან

– ბატონო მიხეილ, ზამთარი ახლოვდება და გაგვიზიარეთ, რა სამუშაოებს ატარებს კომპანიის შრომისა და უსაფრთხოების სამსახური ცივი თვეების დროს სამუშაოების სწორად და უსაფრთხოდ საწარმოებლად?

– დიდი მადლობა ინტერესისთვის, არის რიგი მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომელიც უნდა განახორციელოს კომპანიამ ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად. პირველ რიგში ხდება მუშა პერსონალის აღჭურვა ზამთრის შესაბამისი სამოსით, სათბილობლებით, წინდებით, ქუდებითა და ხელთმანებით. სამუშაო ობიექტზებზე, სადაც მუშების კონცენტრაცია ყველაზე მეტია, ხდება მოსასვენებელი სასადილო კონტეინერების მოწყობა გათბობითა და ცხელი წყლით უზრუნველყოფით, რათა შეციებულმა ადამიანმა შეძლოს სამუშაო დროს შესვლა და ცხელი ჩაის ან ყავის დალევა.ექიმი დამატებით აღიჭურვება, ჰიპოთერმიის ტიპის ინციდენტის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საჭირო სამედიცინო აღჭურვილობით. ასევე გაციების საწინააღმდეგო და სიცხის დამწევი მედიკამენტებით. პერიოდულად მოხდება პერსონალის ტემპერატურის კონტროლი, გრიპის სიმპტომების შემთხვევაში დასაქმებულებს მიეცემათ გამოსაჯანმრთელებელი პერიოდი.

– რაც შეეხება ბუნებრივი მოვლენების მართვის სტრატეგიას რა ხდება ამ მიმართულებით?

– ობიექტის გზაზე რამდენიმე წინასწარ შერჩეულ ლოკაციაზე განთავსდება თოვლის საწმენდი მძიმე ტექნიკა (ბულდოზერი, ექსკავატორი) რომელიც შესაბამისი პერიოდულობით უზრუნველყოფენ გზის გაწმენდას. მინიმუმ 2 ლოკაციაზე მოეწყობა ტექნიკური მარილის სათავსო, ყოველ დილით, თოვლიანი ამინდის ან ყინვის დროს, სამუშაო ობიექტზე გასვლამდე სპეციალური სამუშაო ჯგუფი გაწმენდს გზას, გაშლის ტექნიკურ მარილს, რათა შემდგომ ამომავალ მანქანებს არ ჰქონდეთ შეფერხება.

პროექტი მოიწვევს კომპეტენტურ პირებს რომლებიც იდენტიფიცირებას გაუკეთებენ ზვავსაშის არეალებს, ასევე გასცემენ შესაბამის სამოქმედო რეკომენდაციებს. მოხდება ამ ადგილების სპეციალური ნიშნებით აღჭურვა, რათა ყველა თანამშრომელი იყოს ინფორმირებული და არ გაჩერდეს სახიფათო ზონაში.

ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად დაკომპლექტება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სპეციალური ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარ გაწერილი რისკის შესამცირებელი ქმედებების განხორციელებას.მანქანები და ობიექტზე მოძრავი ბორბლიანი ტექნიკა აღიჭურვება შესაბამისი საბურავებით.სამუშაო ობიექტები სადაც ფეხით მოსიარულე პირები არიან თავმოყრილი ტერიტორია იქნება მუდმივი თოვლის და ყინულის გაწმენდით რეჟიმში. ამისთვის სავარაუდოდ გამოიყოფა პირები სამუშაო ჯგუფიდან.პროექტზე დასაქმებულებს ჩაუტარდებათ საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი. პროექტზე დასაქმებულებისა და საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოება ბახვი ჰესის ნომერ პირველი პრიორიტეტია. შესაბამისად, ყველა ჩვენს მიერ განხორციელებული ქმედება ამ მიმართულებით მაღალი პროფესიონალური სტანდარტის მიხედვით იგეგმება და ხორციელდება.

კონკურსის „ჩემი ქალაქის ფერები“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ალიონი. 11 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში, სახელმწიფო თეატრის, ისტორიული კინოთეატრისა და საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიებზე მოსწავლეთა შემოქმედებითი კონკურსი „ჩემი ქალ-აქის ფერები“ გაიმართა. მასში ქ ოზურგეთის I, II, III, IV, სოფელ კონჭკათის,ბაილეთის და ბოხვაურის საჯარო სკოლების 76 მოსწავლე მონაწილ-ობდა.

დღის ბოლოს კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ: კონკურსში №1 საჯარო სკოლის მოსწავლის **სალომე ალავიძის** ნამუშევარმა გაიმარჯვა; მეორე ადგილზეა **ლუკა სარიშვილი** (№4 საჯარო სკოლა) იყო, ხოლო მე-3 ადგილზე ასევე პირველსკოლელი **მარიამ თედ-ორაძე** გავიდა.

კონკურის ორგანიზატორებმა: №4 საჯარო სკოლის დირექტორმა **თემურ მოქიამ** და ამავე სკოლის ხელოვნების ისტორიის მასწავლებელმა **ეკატერინე ოსტროვსკამ** კონკურსში გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები და მა-ტერიალური ჯილდოები გადასცეს.

ჩოხატაურის ფოლკლორული ანსამბლი „უდაბნო“ გამარჯვებულია!

თელავში გამართულ რიგით მესამე საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლმა „უდაბნომ“ ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი დაიმსახურა! ამ გამარჯვებით „უდაბნომ“ მიიღო მოწვევა ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად,ტექნიკური მომსახურების თანადაფინანსებით.

აღნიშნული მიღწევა ქართული ფოლკლორის კიდევ უფრო მეტად გავრცელების და საერთაშორისო არენაზე წარმოჩენის დიდი შესაძლებლობაა! მომავალშიც წარმატებებს და ბევრ გამარჯვებას ვუსურვებთ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს!

სოფელ მშვიდობაურში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ბახვი ჰესის“ მიერ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, კერძოდ, მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და სექტემბერში დასრულდა სოფელ მშვიდობაურის (ოქროსქედი) 3 კმ-იანი ცენტრალური გზის მონაკვეთის მოხრეშვისა და მოსწორების სამუშაოები. ჩატარებული აქტივობის განმავლობაში გაიწმინდა და მოეწყო გზის გვერდით არსებული სანიაღვრე არხებიც.

„ბახვი ჰესის“ ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სოფლების – უკანავა, მთისპირი, ვანისქედის გზების რეაბილიტაცია. ჯამში, გზების მოხრეშვა-მოსწორების სამუშაოები 8 კილომეტრიანი სიგრძის გზის მონაკვეთზე განხორციელდა.

ბუკნარი-ქვენობანი-ხიდისთავის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება აქტიურად მიმდინარეობს.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ბუკნარი-ქვენობანი-ხიდისთავის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა, რომლის ბიუჯეტიც 990 186 ლარს შეადგენს.

ასფალტის საფარი დაიგო გზის 3, 650-კილომეტრიან მონაკვეთზე.

სამუშაოები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

„ბახვი ჰესის“ სტუდენტური გრანტის პროგრამა

„ბახვი ჰესის “ სოციალური პროგრამის საგანმანათლ-ებლო პროექტების ფარგლებში არსებული სტუდენტური გრანტით 2024 წლის სექტემბრიდან კიდევ ორი სტუდენტი ისარგებლებს. სოფელ ჩხაკაურას მკვიდრი **მარიამ ბერიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ეკოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მთისპირელი **ქეთევან მათითაიშვილი** კი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ისწავლის ეკოლოგიის ფაკულტეტზე. ქეთიც და მარიამიც ჩხაკაურასა და მთისპირის საჯარო სკოლებში უფროსკლასელთათვის განახლებადი ენერგიებისა და გარემოსდაცვის საკითხებზე ცნობერების ამაღლების ტრენინგ პროგრამის აქტიური მსმენელები იყვნენ, რომელიც ბახვი ჰესის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს 2022 წლიდან.

„ბახვი ჰესის“ სტუდენტური გრანტის პირობების თანახმად, სოფელ მთისპირსა და სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლას ენერგეტიკის, ინჟინერიის და გარემოსდაცვით სპეციალობებზე გადაწყვეტენ, კომპანია სწავლის საფასურის 80% გადაუხდის. ამ პროექტის პირველი ბენეფიციარი სოფელი მთისპირის მკვიდრი **ჯაბა ბოლქვაძეა.** მან მთისპირის საჯარო სკოლა 2022 წელს დაამთავრა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ელექტრო ინჟინერის მესამე კურსის სტუდენტია.

ვულოცავთ, მარიამ და ქეთის და დიდ წარმატებებს ვუსურვებთ გარემოსდამცველების რთულ, საინტერესო პროფესიაში და დღეს ასე საჭირო პროფესიაში.

მარიამ ბერიძე, სტუდენტი
სოფელი ჩხაკაურა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

რამდენიმე წლის მანძილზე ვესწრებოდი ბახვი ჰესის ტრენინგს სკოლაში, დავინტერესდი ეკოლოგიით, მონაწილეობას ვიღებდი უამრავ ღონისძიებებსა და აქტივობებში, ოლიმპიადებსა და გარემოსდაცვით პროექტებში, ვსწავლობდი ყველაფერს, რაც ბუნებას უკავშირდებოდა, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებს.ჩვენი ქვეყნის ბუნება უნიკალურობით გამოირჩევა და დაინტერესებას იწვევს მსოფლიოს უამრავი წამყვანი ქვეყნების მოგზაურებში. ვთვლი, რომ უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის განითარებისა და მისი წინსვლისთვის ბუნებისა

და გარემოს დაცვა, გაფრთხილება და თანამედროვე სამყაროში არსებული გამოწვევების გააზრება. ვფიქრობ, ბახვიჰესის სტუდენტური გრანტის პროგრამა სტიმულია და სერიოზული დახმარებაა ჩვენთვის, ახალგაზრდისთვის, ასევე, დიდი პასუხისმგებლო-ბა. ისიც უნდა ითქვას, რომდღეს, გარემოს დაბინძურება და მასთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან აქტუალურია. საქართველოშიკი, ძალიან დაბალია ჯერჯერობით ამ თემის ცნობადობა. არადა, ეს კონკრეტულ პროფესია საკმაოდ პრესტიჟული, პერსპექტიული და შესაბამისად,კარგად ანაზღაურებადია.

ქეთევან მათითაიშვილი, სტუდენტი
სოფელი მთისპირი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ეს პროფესია იმიტომ ავირჩ-იე, რომ დღევანდელი გარემო, ადგილი სადაც ვცხოვრობთ, არასახარბიელოდ გამოიყურება. ჩემი გამოცდილებით, მოქალაქეები არ ზრუნავენ ბუნებაზე, არც დიდი და არც პატარა. ეს იმის ბრალია, რომ ცნობიერება გარემოს დაცვით პასუხისმგებლობაზე ძალიან დაბალია ჩვენს საზოგადოებაში. მხოლოდ ერთჯერადი გარემოს დაცვითი პროექტები გვაქვს. იტყვიან, რომ მაგალითად, ქუჩაში არ უნდა დავყარყოთ ნაგავი, მაგრამ სამწუხაროდ, ერთი მეტრის მანძილზეც კი, ეზარებათ გავლა, რომ ნაგავი ურნაში მოათავსონ. ამიტომ, კარგი იქნება თუ ეს პროფესია მეტად მოთხოვნადი გახდება ახალგაზრდებში, უკეთ შეიმეცნებენ ცოცხალი ბუნების მდგრადი განვითარების მნიშვნელობას და ასევე, ბუნებაზე ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების საფრთხეებს, რაც პირდაპირ ჩვენზე, ადამიანებზე ახდენს საშიშ გავლენას. ბახვი ჰესის ტრენინგებისა და სტუდენტური გრანტის პროექტი ახალგაზრდებს გვაძლევს საშუალებას ავიმაღლოთ ცნობიერება გარემოს დაცვის მიმართულებით. მე პირადად ბევრი რამ გავიგე ამ ტრენინგებიდან, ბევრი რამ ვისწავლე და სხვასაც გავუზიარე. ეს ბავშვებს გვაძლევს საშუალებას გაგვიჩნდეს სურვილი უკეთეს გარემოში ცხოვროვრების. ჩემი აზრით ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვას არავინ. ეს კი, ჩვენს ქვეყანასაც გამოადგება და არა მხოლოდ ქვეყანას, პლანეტას გამოადგება გრძელვადიან პერსპექტივაში.

გომის სკოლის განახლებული სივრცეები „დედაენის“ ზეიმით გაიხსნა

„პარვუს ჯგუფის“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, შემოქმედის თემის სკოლებში სხვადასხვა საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები ეტაპობრივად ხორციელდება. კომპანია ზრუნავს, როგორც მოსწავლეთა განათლებასა და ცნობიერების ამაღლებაზე, ისე მათ-თვის სათანადო გარემოსა და პირობების შექმნაზე.

გომის სკოლაში ახლახანს დასრულდა მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები. გარემონტდა ორი საკლასო ოთახი და სპორტული სივრცე. პი-რველკლასელთა ანაბანთან შეხვედრის ზეიმი მათთვის სპეციალურად მო-წყობილ საკლასო ოთახში შედგა, რო-მელსაც პედაგოგები, მშობლები და უფროსკლასელებიც ესწრებოდნენ.

„ბავშვებისთვის და სკოლის საზოგადოებისთვის ბიზნესის ჩართულობა ეხმარება.

მიხარია, რომ ჩვენი ბავშვების ცხოვრებაში გამოჩნდა კომპანია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით, ეს დახმარება და ყურადღება ძალიან დრ-ოული და ღირებულია“. — **ანი მიმინოშვილი,** პირველკლასელის დედა.

„პარვუს ჯგუფის“ საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში შემოქმედის თემის უფროსკლასელთათვის უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს შემეცნებითი საშაბათო სკოლა, სადაც მოსწავლეები ესწრებიან ტრენინგებსა და სემინარებს თემაზე „ვიცავთ გარემოს და ვქმნით ენერგოუსაფრთხო მომავალს“, მოწვეული ტრენერები, ცნობიერების ამაღლების მიზნით,მოსწავლეებს ესაუბრებიან ეკოლოგიაზე, გარემოსდაცვისა და განახლებადი ენერგიების მნიშვნელობაზე, ახორციელებენ პროექტებს გარემოს გაუმჯობესების, დასუფთავების, გამწვანების კუთხით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რა-დგან ის ხშირად აძლიერებს იმ აქტ-ივობებსა და ინიციატივებს, რაც მათ-თვის სასარგებლო და განვითარებაზე ორიენტირებულია. როცა ბიზნესიც გვერდით უდგება მშობლებსა და სკოლებს, ეს არა მარტო მატერიალურ მხარდაჭერას ნიშნავს, არამედ ზრუნვასა და ერთიანობას — ის გვახსენებს, რომ ჩვენ ყველანი ერთი საზოგადოების წევრები ვართ და თითოეული ბავშვის კეთილდღეობა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა. თანადგომა ხელს უწყობს ცოდნის, უნარების და გამოცდილების გაზიარებას, რაც მომავალ თაობებს უკეთესი გარემოს შექმნაში

გომის სკოლის პედაგოგთა ინიციატივით კომპანიამ უზრუნველყო სემინარების სესია კომუნიკაციების, ლიდერობის, პროექტის წერის უნარების განვითარების მიზნით.სემინარის ფარგლებში პედაგოგები ტრენერებთან ერთად მოამზადებენ სხვადასხვა პროექტებს სკოლაში სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად.

შემეცნებითი, საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ჩატარდება კვირიკეთის სკოლის პედაგოგებისთვისაც, მოსწავლეები კი ჩართული არიან საშაბათო სკოლის აქტივობებში.

MMA-ს მებრძოლი მთისპირიდან

მთისპირელი **ლაშა ვაშალომიძე,** რომელიც 22 წლისაა უკვე, იპყრობს სხვადასხვა ქვეყნის რინგს. მან საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია MMA ორთაბრძოლაში, რომელიც პოლონეთში გაიმართა და სადაც ის, ბახვი ჰესის მხარდაჭერით გაემგზავრა. საბედნიეროდ, ამ ტურინირზე მან დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ლაშა კიდევ მეტი მწვერვალის დაპყრობას გეგმავს.

— ლაშა, მოგვიყევით თქვენს შესახებ, როგორ მოხვედით აქამდე?

— აქტიური ცხოვრების წესით ვარ დაკავებული ბავშვობიდან. 10 წლის განმავლობაში ვცეკვავდი. მოგვიანებით, გამიჩნდა ინტერესი ვარჯიშის მიმართ. თავიდან არ ვიცოდი რას ნიშნავდა შერეული საბრძოლო ხელოვნება, მაგრამ რასაც ვხედავდი, იყვნენ მოტივირებული, მშრომელი ადამიანები, რომლებიც დაუღალავად ვარჯიშობდნენ დარბაზში. სწორედ ამან მომცა სტიმული. ყოველდღიურად ვვარჯიშობ, ვეუფლები საბრძოლო ტექნიკას. ჩემი მიზანია მოვხვდე მსოფლიო ჩემპიონატზე და გავიმარჯვო. როგორც იცით, ვიბრძოლე ტურნირზე პოლონეთში, რომელიც ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ტურნირად დასახელდა. 760 მებრძოლი იღებდა მონაწილეობას. ჩემთვის საამაყო იყო საქართველოს წარმოჩენა აღნიშნულ ტურნირზე. ამან დამატებითი მოტივაცია მომცა, მივაღწიე გამარჯვებას. უნდა გავაგრძელო წინსვლა, ვასახელო ჩემი ქვეყანა.

— ბახვი ჰესი იყო თქვენი მხარდამჭერი. როგორ შეაფასებთ ამ კომპანიის საქმიანობას თქვენს სოფელში?

— დღესდღეობით მიგრაციის პრობლემაა რეგიონში. ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში მიდიან სამუშაოდ. მსგავსი პროექტები კი ხელს უწყობს ახალგაზრდების დასაქმებას, აღარ წავლენ სოფლიდან, ოჯახებიც უფრო გაძლიერდება. ასევე, ბევრ სოციალურ პროექტს ახორციელებს ბახვი ჰესი ჩემს სოფელში. ჩემი დახმარებაც ამ კომპანიის კეთილი ნება იყო. ენერგეტიკული პროექტების განვითარება უმნიშვნელოვანესია სოფლისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ რეგიონში, ხელს უწყობენ ქვეყნის განვითარებას.

დიდი გადახვევა - ჩვენებური ავტორის მონაწილეობით

გრიგოლ ორბელიანის შესახებ მორიგი ეპიზოდის წერა დავიწყე თუ არა, დედა გვერდით მომჯდა და მთხოვა, რის დაწერასაც ვაპირებდი ჯერ მისთვის მომეთხრო. საქმე იმაშია, დედა ახლაც თვლის, რომ ჩემი ,,ზეპირი თხრობა არაფერს ჰგავს" და ,,კიდევ ნეტი მუშაობაა საჭირო ამის გამოსასწორებლად". მე რასაკვირველია, ორივე ხელის აწევით ვეთანხმები და გამოსწორებას ვცდილობ აგერ უკვე რამდენი წელია.

ბატონ იუზა ევგენიძესთან (1943-2013) მე და კახა რუსიძის სტუმრობის ამბავით ვიწყებ. ვუთხარი და შევხედე. დედას ზუსტად ისეთი სახე ჰქონდა, როგორც კახას ხსენებისას აქვს ხოლმე. ისეთი საყვარელი, ისეთი საყვარელი, აღწერას დიდი მწერლის ოსტატობა რომ სჭირდება.

,,მგონი, შენსავით მიყვარს" უკვე მრავალი წელია ამბობს და თავზე ხელს მისვამს. მე ვიცინი და თხრობას ვიწყებ:

ხომ გახსოვს გითხარი, ბატონი იუზა ბაგებში ცხოვრობდა, ჩვენც ბაგებში ვცხოვრობდით, ოღონდ სტუდქალაქში. ზუსტად 7 საათზე კახამ ბატონი იუზას კარის ზარის ღილაკს საჩვენებელი თითის ბალიში მიაჭირა. ხომ იცი, როგორი მორიდებითაც?! კარები სულ რამდენიმე წამში გაიღო. კარგი მწერალი ალბათ, დაწერდა, რომ მასპინძელი სტუმრებს კართან ელოდა, იცოდა, სტუმრები წამითაც არ დაგვიანებდნენ. ბატონ პროფესორს პირველი კახა მიესალმა, შემდეგ მე. გიორგი კილაძე, გამომცემლობა ,,მერიდიანის" დირექტორი, რაღაცნაირად ოფიციალურად წარმადგინა ჩემმა უპირველესმა მეგობარმა. პროფესორმა ხელი მაგრად ჩამომართვა, მომესალმა და სამუშაო ოთახში შეგვიღვა. მოგვიბოდიშა, მეუღლე სახლში არ იმყოფება, მცირედით (მცირედი კი, ბრძანა, მაგრამ... სულა არ იყო მცირედი, სუფრა ისე იყო გაწყობილი კარგ დიასახლის რომ შეშურდებოდა!) უნდა დავკმაყოფილდეთ, სამაგიეროდ, კონიაკი მაქვს ისეთი, თქვენნაირ საპატივცემულო სტუმრებს, რომ შეეფერებაო. ისეთი ბუნებრივი იყო, ისეთი ბუნებრივი, ბატონი იუზა! დიდხანს ვიჯექით სუფრასთან, კარგად მოვულხინეთ, მაგრამ სულ სხვა რამეზე ვწერ ახლა რასაც ვწერ ქართული სუფრის აკადემიაზე ვწერ, სადაც მხოლოდ ერთი აკადემიკოსი და ორი წევრობის კანდიდატი ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე, წიგნებსა და ავტორებზე, გამომცემლებზეც, რასაკვირველია, საუბრობდა, ერთმანეთს გულისყურით უსმენდა და მაინც, მთავარი თემა გრიგოლ ორბელიანი იყო!

ცოტა, რომ გავთამამდი (იცის კონიაკმა და თანაც კარგმა), ვთქვი და დედას გადავხედე. ზუსტად ისე მისმენდა, როგორც ბატონ იუზას ვუსმენდით მე და ჩემი მეგობარი. ბატონ იუზას ,,გრი-გოლ ორბელიანიდან" ლამის მთელი აბზაცი ზეპირად წავუკითხე. სიამოვნებაზე უფრო, გაუხრდა. სიმართლე გითხრათ, ახლა ის აბზაცი ,,ლამის ზეპირადაც" აღარ მახსოვს, ამიტომ ,,დავსქროლავ" და თქვენთისაც და ჩემთვისაც აქ მოვიხმობ:

,,ქართულ სინამდვილეში, თუ რომელიმე ხელოვანის ბიოგრაფია თუ პორტრეტი დანახულა სუბიექტურად, ეს პირველ ყოვლისა ეხება გრიგოლ ორბელიანს, შეიძლება გადაუჭარაბებლად ითქვას, რომ არც ერთი ქართველი მწერლის შესახებ ისეთი სიმკვეთრით არ წამოჭრილა პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ბუნების ორმაგობის პრობლემა, როგორც ეს გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მიმართ დაისვა. მას შემდეგ, რაც დიდმა მგოსანმა, აკაკი წერეთელმა. უწოდა პოეტს ,,სიტყვით სწორი — საქმით კუზა", — ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და ლიტერატურის მკვლევართა უმეტესობამ მეტნაკლებად ირწმუნა ამ შეფასების სამართლიანობა და პოეტურ ფრაზას. რეალური მნიშვნელობა მიანიჭა ისე, რომ არ გაითვალისწინა არც ლიტერატურული პოლემიკის მხატვრული ასპექტი, არც მისი ქ ვ ე ტ ე ქ ს ტ ე ბ ი და პერიაპეტიები...".

აი, აქ შევჩედი და დედას კიდევ ერთხელ შევხედე. კიდევ უფრო საყვარელი იყო, და კიდევ უფრო გულისყურიანი მსმენელის სახე ჰქონდა.

იქნებ არ ღირს ამის დაწერა? მკითხა მოულოდნელად.

რატომ?

არ ვიცი. იქნებ, აი, როგორ თქვი..

,,არ გაითვალისწინა არც ლიტერატურული პოლემიკის მხატვრული ასპექტი, არც მისი ქვეტექსები და პერიაპეტიები...".

ჰოდა, შენც ოგივე არ დაგემართოს...

არ დამემართება ვუთხარი მე და ვიდრე თხრობას გავაგრძელებდი, დავამატე, აბა, ნახე რამდენი გურული წერდა გრიგოლ ორბელიანზე!

,,კიტა აბაშიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სიმონ ხუნდაძის, გერონტი ქიქოძის, მიხეილ ზანდუკელის, კონსტანტინე კაპანელის, შალვა რადიანის და ნაწილობრივ თვით იონა მეუნარგიას, ასევე ელგუჯა მაღრაძის მონოგრაფიებში ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ გრიგოლ ორბელიანი წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო, ამ თვალსაზრისით. გამ-ონაკლისს წარმოადგენს პოეტისადმი კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ კიკნაძის, კონსტანტინე მეძველიას, რამდენადმე აპოლონ მახარაძის, და აკაკი გაწერელიას დამოკიდებულება. ავტორთა უმეტესობა ვარაუდობს შემდეგს..."

აი, აქ, კიდევ ერთხელ გადავხედე დედას, თავი დაეხარა, მუხლებზე დაწყობილ ხელებს დაჰყურებდა და მომეჩვენა მოიწყინა.

გინდა მერე გავაგრძელოთ!

არა. განაგრძე — მითხრა და შემომხედა.

წიგნში 5 ,,ვარაუდია" ნახსენები. მე მხოლოდ ერთს წაგიკითხავ, ჩემთვის ყველაზე უფრო საინტერესოს!

ბარათაშვილზე არაფერი სწერია?!

აბა, რა! სწორედ ეს უნდა წაგიკითხო!

,,5) *როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანი იყო ბიძა გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებიდან, კერძოდ, გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ მას სწავლის გაგრძელება სწყურია უნივერსიტეტში. შეძლებული და თანამდებობის პირი გრ. ორბელიანი კი ამ დროს დუმს, დახმარებას არ უწევს თავის დისშვილს, შვილს იმ მანდილოსნისა, რომელიც თავისი უზადო სათნოებით, სიკეთით გამოირჩევა ყველას მიმართ და განსაკუთრებით ფაქიზია ძმებთან ურთიერთობაში; აი, ამ ქალს, რომელსაც გრ. ორბელიანმა მიუძღვნა ქართული ეპისტოლარული ლირიკის შედევრი ,,ჩემს დას ეფემიას", ის გულგრილად ეკიდება. ძმა დახმარების ხელს არ უწვდის გაჭირვებაში ჩავარდნილ დასა და დისშვილებს. თუ გრიგოლ ორბელიანის პიროვნების შესახებ ამგვარ ვერსიას ვირწმუნებთ, გამოდის, რომ დისადმი უნაზესი, თბილი პოეტური სტრიქონების ავტორი საკმაოდ გულცივი კაცია ყოფით ურთიერთობაში."*

— ეჰ...! ამოიოხრა დედამ და... გახსოვს ლექსი როგორ იწყება?

— მახსოვს ვუთხარი მე...

— მეც! ამბობს რაღაცნაირი სიამაყით და იწყებს! დედა იწყებს, მე დედას და ჩემი მეუღლის მასწავლებელი. ქალბატონი ზინა ღლონტი მახსენდება!) — *,,ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ, ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭნარისა, დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ, და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!"* მეტი აღარ მახსოვს. წამიკითხე.

— კარგი. ვუთხარი მე. მანამდე გეტყვი, რომ ლექსი 1835 წელსაა დაწერილი და გრიგოლ ორბელიანი 31 წლისაა...

— და ნიკოლოზ ბარათაშვილი?

— თვრამეტის და რამდენადაც მახსოვს უკვე დაწერილი აქვს: ბედი ქართლისა" და მუშაობს "შემოღამება მთაწმინდაზედ".

— არა, არა, შენ ფილოლოგიურზე უნდა გესწავლა! მერამდენედ ასკვნის დედა და მე მერამდენედ ვეუბნება...

— ღმერთმა დაიფაროს, არც მუხლების, არც ტერფების და არც ტერციების მსწავლელი ვიყავი თეორიულ დონეზე!

— იმდენი შენ რა გითხარი! ამბობს და მთხოვს თხრობა გავაგრძელო.

,, ვიცით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წელს. იმხანად გრიგოლ ორბელიანი, როგორც ადმინისტრატორი, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფიგურა არ ყოფილა, რომ თანამდებობრივი უფლებები გამოეყენებინა და თავის დისშვილს დახმარებოდა. მას, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ნ. ბარათაშვილისათვის ხელის გაწვდენა არ შეეძლო. რაც შეეხება საყვარელი დის ეფემიასადმი, მისი ოჯახისადმი მორალურ, სულიერ თანადგომას და მატერიალურ დახმარებას, შესაძლებლობის ფარგლებში მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გრ. ორბელიანი ამ ყურადღებას მათ არ აკლებს. და ეს მაშინ, როცა თვით პოეტსა და მის ძმებს მატერიალურად უჭირთ, მელიტონ ბარათაშვილი კი ქეიფებსა და დროს-ტარებაში ფლანგავს ნამზითვ ქონებასაც კი. ნათქვამის ცხადსაყოფად. მივმართავთ ფაქტებს. ახლობლებისადმი მიწერილ ბარათებში ძალზე ხშირად ფიგურირებს ნიკოლოზ ბარათაშვილის, მოფერებით ტატოს სახელი. ,,ტატიკოს ჩემ მგიერ აკოცე", წერს 1834 წელს პოეტი უმცროს ძმას ილია ორბელიანს... 1835 წლის 11 აპრილს, აღდგომა დღეს, მეორე ძმა, ზაქარიას მიმართავს: ,,*მელიტონის უიმედოდ ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა მთელი ღამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს — რა უნდა ჰქნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლა ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ანუ რით გადაიხადოს ვალები, რომელიც უეჭველად ბევრი დარჩება... ჩუენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგდენი არა შეგვიძლიან რა. ახ, ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩვენი. ოხ! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულით საყუარელს დას უკანასკნელ განწირულობაში და არ შეეძლოს შემწეობა — მომწერე გეთაყვა ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას დაწვრილებით, ნურას დამიმალავ ჩემს სანუგეშოდ* **нельзя ли ее поместить в нашем доме как нибудь до времени»**... *გრიგოლ ორბელიანის ეს მწარე ამონაკვესი არის პასუხი იმავე წლის 18 თებერვალს ზაქარიას წერილზე, სადაც ხაზგასმულია, თუ რა მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა მელიტონის ხელგაშლილობამ ოჯახი..."*

მოდი აქ შევწყვიტოთ. ბატონ იუზას კიდევ რამდენიმე მაგალითი მოჰყავს.. აი, როგორ ვთქვა გრიგოლ ორბელიანის სასარგებლოდ, და მაინც ჩემთვის უმთავრესია ორი:

1. ,,1837 წელს, როდესაც იმპერატორი ჩამოვიდა თბილისში, თარჯიმნობას იმპერატორთან მელიტონი ეწეოდა" (ს. ინვოროყვა); მართლაც, თუ ვინმეს შეეძლო დიდი მონაცემების მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დაყენება, ეს, პირველ ყოვლისა, მამამისს შეეძლო და არა რიგით ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს.

იუზა ევგენიძე

კახა რუსიძე

და

2. თავად ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩვენი მკვლევრებისაგან განსხვავებით, გრ. ორბელიანს კი არ ადანაშაულებს ამაში, არამედ მშობლებს და, კერძოდ, მელიტონის ავადმყოფობას თვლის საკუთარ ოცნებათა მსხვრევის მიზეზად. ,,*საყვარელო ძაო! — სწერს ის 1837 წლის თებერვალში გრიგოლ ორბელიანს, — აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ... ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში, მაშ, რაღამ დამიშალა თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო, და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო... მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში გაგზავნა... არც ეს შემისრულეს, უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: ,,შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?" ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას..."*

გიო! ამბობს დედა და მზარს მსუბუქად მკრავს მხარზე. *გრიგოლ ორბელიანისა და გურის ურთიერთობაზე არაფერს დაწერ?*

დავწერ, დე, აბა, რას ვიზამ, თუმცა, მანამდე, იმდროინდელ გურიაზე მინდა მოვყვე.

რა საინტერესო! ამბობს დედა. მე. ციფრულ კოლექცია ,,ივერიელში" მეტად საინტერესო ნაშრომს ,,გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს" ვპოულობ, ვტვირთავ, და კითხვას პირდაპირ მეორე თავიდან ვიწყებ:

,,აჯანყების მსვლელობა

1841 წლის მაისში აკეთის უბნის მსაჯული თ-დი ბარათაშვილი ახალი ფულადი გადასახადის აკრეფას შეუდგა.

22 მაისს (4 ივნისი ახ. სტ.) სოფ. ლანჩხუთში მან ,,გადასახადის ამკრეფნი წარგზავნა. საერობო მოხელეები გადასახადს რუსული ფულით თხოულობდნენ, მოსახლეობას კი ასეთი ფული არ გააჩნდა. გლეხთა ნაწილმა იწყო გადასახადის შეტანა თურქული ფულით, მაგრამ ოსმალურ მონეტებს ხაზინა არ ღებულობდა. გადასახადის ამკრეფნი ძალადობას მიმართავდნენ, რამაც ძლიერი აღელვა მოსახლეობა მათ უარი განაცხადეს საერობო გადასახადის გადახდაზე და ხელოსნები (გადასახადის ამკრეფნი) სოფლიდან გამოაგდეს.

ბარათაშვილმა ამ ინცინდენტს სათანადო ყურადღება არ მიაქცია და თვითონ შეუდგა გადასახადების აკრეფას. 24 მაისს მან აკეთის თემის მცხოვრებლებს საერობო გადასახადის შეტანა უბრძანა გლეხებმა მსაჯულს ცოტაოდენი დრო სთხოვეს, რათა საამისოდ მომზადებულიყვნენ. მაგრამ ამაზე ბარათაშვილმა უარი განაცხადა. მაშინ ზოგიერთებმა გადასახადის საწინდრად ნივთები მისცეს, ხოლო იმ პირთა ოჯახებიდან, რომლებიც შინ არ აღმოჩნდნენ, მსაჯულის ბრძანებით ხელოსნებმა საოჯახო ინვენტარი გამოიტანეს..."

არ ვიცი იმ დროს იცოდნენ გურულებმა მათი სახლი, მათი ციხეს-იმაგრები, რომ იყო, მაგრამ ფაქტია, ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც ინგლისელი დიდი თუ პატარა სახლის მფლობელები (ზუსტად ასე ვუთხარი დედას)...

,,... 24 მაისს3 უწესრიგობის აღმოსაფხვრელად მაზრის უფროსი ჯარისკაცთა ასეულით აკეთში მივიდა. მან მოსახლეობას უბრძანა საერობო და ავრეთვე ყველა სხვა სახის გადასახადის დაუყოვნებლივ შეტანა. გლეხებმა სთხოვეს იაცენკოს საერობო ბეგარას ფულის უქონლობის გამო წინანდებურად ნატურით შევიტანთო, მაგრამ მან ამაზე უარით უპასუხა.

სამხედრო ძალის გამოჩენამ სოფელში გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. ოფიციალური ისტორიკოსის სიტყვით, ამ ფაქტმა ნაწილობრივ გონს მოიყვანა და ნაწილობრივ შეაშინა მცხოვრებნი." ისინი თითქოს დამორჩილდნენ მაზრის უფროსს და შინ წავიდნენ. ტყეში იმალებოდა მხოლოდ 7-8 კაცი, რომლებიც გლეხთა მღელვარების მოთავეები იყვნენ და შერიგებას არ აპირებდნენ..."

სხვათაშორის, ინგლისი შემთხვევით არ მიხსენებია, კარგად მახსოვდა ნაშრომის ერთი თავი, სადაც საუბარია ინგლის-თურქეთის დამოკიდებულებაზე აჯანყებასთან.

ბუნებრივია, ამ თავს აქ მიზეზთა გამო არ განვიხილავ, არც ნაშრონზე საუბარს გავაგრძელებ. ისე, მე თუ მკითხავ კაცს წასაკითხი ნაშრომია, განსაკუთრებით გურულებისთვის. ეს ის შემთხვევაა, როცა ავტორიც პატივისცმას რომ იმსახრებს და თავად ნაშრომიც, მიუხედავად დაწერის დროისა, ,,ქვეტექსები და პერიაპეტიებისა...".

ახლა მე სულ სხვა წიგნს გადავშლი და მასზე შევაჩერებ თქვენ ყურადღებას.

ავტორი იონა მეუნარგიაა, წიგნი ,, ქართველი მწერლები I, 1954 წ.)

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხი, დედასაც აინტერესებს.

გპირდებით, ინტერესს შემდეგ წერილში დავაკმაყოფილებ.

გიო კილაძე

13 მედალი ჩვენია!!!

ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში (2010 - 2011 წწ დაბადებულია შორის) საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ ყველა დროის გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი, რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრი ფართომასშტაბიანი იყო და მასში: ხელვაჩაურის, ხულოს, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის,ბაღდათის,ლანჩხუთის ზესტაფონის, ოზურგეთის, ფოთისა და ხობის სასპორტო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ.

ტურნირზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს და შინ 13 მედლით დაგვიბრუნდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამავანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ბ/რ ჭიდაობის სექციის სპორტსმენები.

საპრიზო ადგილზე გასული მოჭიდავეები სიგელებით, მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ!

I ადგილი

გიორგი ჩხიკვაძე - 41 კგ
ნიკოლოზ კუტუბიძე - 57 კგ
გიორგი კვერღელიძე - 62 კგ
დავით მხეიძე - 68 კგ

II ადგილი

დავით დოლიძე - 26 კგ
რომანოზ თოიძე - 35 კგ
ნიკოლოზ კილაძე - 41 კგ

III ადგილი

დავით ცინარიძე - 29კგ
დამიანე მახინია - 29კგ
გაბრიელ ავალიანი - 32კგ
დავით მატკავა - 41კგ
მალხაზი კეკელიძე - 48კგ
დათა ქილიფთარი - 68 კგ

გუნდი ასპარეზობისთვის **კობა ბალავინოვმა, კახაბერ აბაშიძემ** და **დავით მელუამ** მოამზადეს!

შეჯიბრი მინი ფეხბურთში დასრულდა

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში შეჯიბრი მინი ფეხბურთში დასრულდა, რომელშიც მონაწილეობას ჯამში 23 გუნდი იღებდა.

გოგონებს შორის პირველ ადგილზე **მესამე საჯარო სკოლის გუნდი,** მეორეზე- **ჭანჭათის,** მესამეზე - **ჩოჩხათის** საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

ბიჭებს შორის პირველი ადგილი პირველი საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, მეორეზე- ნიგოითის, ხოლო მესამეზე მესამე საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

გამარჯვებულებს თასები და მედლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძესთან** ერთად გადასცა.

შეჯიბრს საკრებულოს დეპუტატი კახა კვიტაიშვილი და რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ჩიტაძე ესწრებოდნენ.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთადაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ტარდება.

შეჯიბრება ხელბურთში დასრულდა

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში გოგონებს შორის პირველ ადგილზე **ნიგოითის** საჯარო სკოლის გუნდი, მეორეზე — **ჯურუყვეთის საბაზო,** მესამეზე — მართლმადიდებლური სკოლის გუნდი გავიდა.

ბიჭებს შორის პირველი ადგილი **სუფსის** საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, მეორეზე- **პირველი საჯარო** სკოლის, ხოლო მესამეზე **მართლმადიდებლური სკოლის გუნდი** გავიდა.

გამარჯვებულებს თასები და მედლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძემ** გენდერული საბჭოს თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველიასთან** ერთად გადასცა.

სკანვორდი



პასუხები:

ეროვნული: ოთარ ჯიბლაძე; ეროვნული ფეხბურთელი — ალექსანდრე სარიშვილი; ეროვნული ფეხბურთელი — ალექსანდრე ბურკაძე

რევოლუციის დამარცხება

რუსული კოლონიზაციის ახალი ეტაპი და მისი პერსპექტივები

დასაწყისი „ალიონი“ № 5-9. 11-17



სასოფლო მმართველობის ნაკლოვანებებზე, იქ დამკვიდრებულ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და პოლიციის თვითნებობასა და კორუმპირებულობაზე როცა ლაპარაკობდა, კავკასიის მეფისნაცვალი ყოველივე ამას საშიშ მოვლენებად მიიჩნევდა. მოხსენებაში ვკითხულობთ: "ასეთი თვითნებობა შეურაცხყოფილებში იწვევს გაბოროტებას და შურისძიების გრძნობას, რაც ძარცვაში, გადაწვასა და მკვლელობებში გამოიხატება." ამის უამრავი მაგალითი რუსეთის ხელისუფლებას 1905 წლის რევოლუციამ და მისმა შემდგომმა პერიოდმა მისცა, როცა მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხების მიერ სასოფლო მმართველობის მოხელეთა სოფლიდან გაძევებამ, სოფლის კანცელარიების დარბევამ და იქ დაცული დოკუმენტების განადგურებამ. ვორონცოვ-დაშკოვს საგანგაშოდ მიაჩნდა ისიც, რომ გაბოროტებული და შეურაცხყოფილი გლეხობა ადვილად ექცეოდა სოციალ-დემოკრატების პროპაგანდის ქვეშ. გაბოროტებული გლეხებისაგან შექმნილ ბანდებში მრავლად იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ძიებას ან სასამართლოს ემალებოდნენ. მათ მიზანს უმატესწილად პირადი შეურაცხყოფისათვის შურისძიება წარმოადგენდა. ბანდების სათავეში ხშირად ისეთი ადამიანები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, რომლებიც გადასახლებიდან ან კატორღიდან იყვნენ გაქცეული.

ამრიგად, კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს ყოველგვარი შელამაზების გარეშე მოახსენებდა რუსეთის ხელისუფლებისათვის არასასურველ სიმართლეს: სასოფლო მმართველობაში დამკვიდრებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, პოლიციის მიერ სოფლის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების მფარველობა, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფა სოფლად ახალი სოციალური ამბოხის საშიშროებას ქმნიდა. ცხადია, მეფისნაცვალი იმას ვერ იტყოდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ მსგავსი ბოროტმოქმედებისაგან, ძალმომრეობისა და უსამართლობისაგან მომდინარე საფრთხე ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა, რამაც რუსეთის იმპერია საშინელ სოციალურ კატასტროფამდე მიიყვანა.

კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორს აფრთხილებდა, რომ ქურდობის, ძარცვის, დარბევებისა და სოციალური კონფლიქტების ნიადაგზე მომხდარი მკვლელობების აღკვეთის მიზნით არსებული პოლიციის სტრაჟნიკების სამსახური, რომლის შენახვა ხალხს ძალზე ძვირად უჯდებოდა, დაკისრებული მოვალეობის შესრულების ნაცვლად კიდევ უფრო აბოროტებდა მოსახლეობას. პოლიციის სტრაჟნიკების არაეფექტური მოქმედება და ხშირად ბოროტმოქმედთა ბანდებთან მათი პირდაპირი გარიგება შეიძლებოდა ახალი სოციალური აფეთქების მიზეზად ქცეულიყო. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს სოფლის მმართველობის გარდაქმნის თავისი გეგმა ჰქონდა:

1.მოქმედი კანონმდებლობით, სასოფლო ყრილობაში მონაწილეობას მხოლოდ გლეხები იღებდნენ. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ ყრილობაში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონოდა სოფლის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად სოციალური წოდებისა(გლეხს, თავადს, აზნაურს, ვაჭარს და სხვ.). იგი თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებდა: საქართველოს ბევრ სოფელში, რუსეთის სოფლებისაგან განსხვავებით, ცხოვრობს ბევრი წვრილი მემამულე, რომელთა მიწები გლეხობის მიწებს ესაზღვრება(ყარსის ოლქში, ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში, სადაც სამხედრო-სახალხო მმართველობაა, გლეხობის გარდა, მრავლად მოსახლეობენ სხვა სოციალური წრის წარმომადგენლები). სოფლის ყრილობებში, გლეხობის გარდა, სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა მონაწილეობა გაზრდიდა მის ავტორიტეტს და ყრილობის გადაწყვეტილებას სავალდებულოს გახდიდა სოფლის ყველა მცხოვრებისათვის, ხოლო სოფლის მმართველობას ვალდებულს გახდიდა, ეზრუნა არა მხოლოდ გლეხობის, არამედ ყველა სოციალური ფენის ინტერესების დაცვისათვის.

2. სოფლის სასამართლოები და სოფლის მოსამართლის თანამდებობა უნდა გაუქმებულიყო და მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო მომრიგებელი სასამართლოები მომრიგებელი მოსამართლის თავმჯდომარეობით.

3. მაზრა უნდა დაყოფილიყო უბნებად, მაზრაში უბნების რაოდენობა ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობით უნდა განსაზღვრულიყო. უბანში განმკარგულებელ-აღმასრულებელი ხელისუფლება მოსახლეობისაგან არჩეულ წარმომადგენლობით კრებას უნდა ჰქონოდა. წარმომადგენლობითი კრება აირჩევდა უშუალოდ და მუდმივად მოქმედ ორგანოს — გამგეობას უბნის მამასახლისით სათავეში. უბნის გამგეობა მაზრის ხელისუფლების დაქვემდებარებაში რჩებოდა, თუმცა მას უნდა გადასცემოდა იმ ადმინისტრაციულ-საპოლიციო ფუნქციების ნაწილი, რომლებსაც მაზრის მმართველობა ფლობდა. ამასთან ერთად, მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო გუბერნიის, მაზრისა და უბნის ადმინისტრაციულ-პოლიციური და სამეურნეო კომპეტენციები. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს ურჩევდა, რომ გუბერნიის, მაზრისა და უბნის ადმინისტრაციულ-პოლიციური და სამეურნეო ფუნქციების განსაზღვრისას რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიას შორის დიდი განსხვავება არ დაეშვა, სამაგიეროდ, განსხვავებები მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიის ერობებს შორის, თუკი სამეფისნაცვლოში ერობების შემოღება გადაწყდებოდა.

6. **საერობო დაწესებულებები და მათი სტრუქტურა და ფუნქციები.** რუსეთის კანონმდებლობით, ერობის ორი საფეხური იყო განსაზღვრული: *1. სამაზრო ერობა, 2. საგუბერნიო ერობა.* მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ კავკასიის ტოპოგრაფიული, ეკონომიკური და ეთნოგ-რაფიული თავისებუ-რებები, მოსახლეობის ცხოვრების წესი განაპირობებდა აქ ერობის მცირე ერთეულის შექმნის აუცილებლობას. ეს მცირე ერთეული უნდა ყოფილიყო **სასოფლო ერობა.** თავის მოსაზრებას ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმით ასაბუთებდა, რომ საქართველოს სოფლებში გლეხობის გვერდით ცხოვრობდნენ წვრილი მემამულეები, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით გლეხებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდნენ და, პრაქტიკულად, გლეხის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მუსლიმებით დასახლებული პროვინციების სოფლებში, მართალია, მდიდარი ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ ისინი ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორითაც— სოფლის მთელი მოსახლეობა. იგივე მდგომარეობა იყო სომხეთში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე თავადურ საგვარეულოს. ამიტომ იყო, რომ, რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით, სადაც კანონმდებლობით სასოფლო ერობა არ იყო გათვალისწინებული, კავკასიაში ერობის ყველაზე მცირე ერთეული სასოფლო ერობა უნდა ყოფილიყო. ერობის მეორე საფეხური, მეფისნაცვლის აზრით, ისევე, როგორც რუსეთში, კავკასიაშიც სამაზრო ერობა იქნებოდა, მესამე საფეხური — საგუბერნიო ერობა.

7. **კავკასიის რუსი მოხელეებით უზრუნველყოფის აუცილებლობა.** ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი მიიჩნევდა, რომ კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცება და კოლონიური პოლიტიკის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული რეგიონის რუსი მოხელეებით უზრუნველყოფაზე. მეფისნაცვალი აღნიშნავდა, რომ დაბალი ხელფასი, ცხოვრების სიძვირე დაადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარების სირთულე კავკასიაში სამუშაოდ რუსი კომპეტენტური მოხელეების ჩამოსვლას აფერხებდა. იგი იმპერატორს მოახსენებდა: "სანამ იმპერიის განაპირა მხარეებში სამსახურის ანაზღაურება შიდა გუბერნიებთან შედარებით არ გაუმჯობესდება, მანამ განაპირა მხარეებში ყოველთვის მოხვდებიან უარესი მოხელეები, ისეთები, რომლებიც შიდა გუბერნიებში სამსახურეობრივ წინსვლას არ ელოდებიან." ამიტომ იყო, რომ მეფისნაცვალი კავკასიის რუსი მოხელეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას "განსაკუთრებულად მნიშვნელოვან" საკითხად მიიჩნევდა. საგანგაშოდ მიაჩნდა ვორონცოვ-დაშკოვს ის, რომ პოლიციის დაბალი რანგის მოხელეების ხელფასი უმნიშვნელო იყო: თბილისში, ბათუმსა და კავკასიის სხვა საგუბერნიო ქალაქებში პოლიციელის ანაზღაურება თვეში 10-12 მანეთს უდრიდა, ხოლო სამაზრო ქალაქებში — 7-8 მანეთს. ასეთი ხელფასით არსებობა წარმოუდგენელი იყო, რის გამოც პოლიციაში სამსახურს მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები იწყებდნენ.

8. **კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება.** ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი თვლიდა, რომ 1882 წელს კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმება და მხარის უმაღლეს პირად მთავარმართებლის დადგენა, რომელსაც გენერალ-გუბერნატორზე ოდნავ მეტი უფლებები გაჩნდა, შეცდომა იყო. აქედან გამომდინარე, 1905 წლის თებერვალში მეფისნაცვლის თანამდებობის აღდგენა სწორ გადაწყვეტილებად შეფასდა. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოკრძალებით მოახსენებდა: ვერაფერს ვიტყვი კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის შენარჩუნების აუცილებლობაზე, რადგან თვითონ ვარ მეფისნაცვალიო. თუმცა იმავდროულად მოქმედი მეფისნაცვალი წერდა: *„მე ვერ დავუშვებ იმის შესაძლებლობას, რომ კავკასიის ცენტრიდან მართვა საერთო ფორმულით მოხდეს. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნებს, აღმსარებლობის სიჭრელეს, განსხვავებულ რელიგიურ შეხედულებებსა და წესჩვეულებებს, ეთნიკურ შემადგენლობას და პოლიტიკურ წარსულს."*

კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის 1907 წლის 10 თებერვლის უქვეშევრდომილესი მოხსენება ვითარების ღრმა და ობიექტურ ანალიზს ემყარებოდა. მეფისნაცვლის მიზანი სავსებით ცხადი იყო: კავკასიაში არსებული სოციალური და ადმინისტრაციული პრობლემების გამოვლენა მიზნად ისახავდა არა მარტო ამ პრობლემათა გადაჭრას, არამედ იმას, რომ რუსეთის იმპერიის ბატონობას კავკასიაში ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამო საფრთხე არ შექმნოდა; ცენტრალურ ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ ჯერ კიდევ ჩანასახში არსებული პრობლემა დროულად აღეკვეთა. ამ იმპერიული ზრახვების მიუხედავად, დადებითად შეიძლება შეფასდეს ის, რომ მეფისნაცვლმა ის ანტიქართული პოლიტიკაგამოიტანა - კარაოზე, რომლის სულისჩამდგმელები და გამტარებლები კავკასიის უმაღლესი რანგის მოხელეები იყვნენ. მოხსენებამ ნათლად აჩვენა, რომ თავისი ანტიეროვნული პოლიტიკით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ანტირუსული განწყობილების დამკვიდრებას მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენაში და ძლიერი ბიძგი მისცა სოციალურ და ეროვნულ პროტესტს.

ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი ისტორია
(წიგნი 3. გვ. 589-591)

რა არის გრიპი?

გრიპი, ვირუსით გამოწვეული ზემო სასუნთქი გზების ინფექციაა.

გრიპის ვირუსით ინფიცირება ზრდის სხვა ინფექციების განვითარების რისკს, მაგალითად, ვირუსული ან ბაქტერიული პნევმონია (ფილტვების ანთება), რომელიც აზიანებს ფილტვებს და მისი გართულება შესაძლოა სიცოცხლისთვის სახიფათო აღმოჩნდეს. ამგვარი გართულების მაღალი რისკის ქვეშ არიან: ასაკოვანი ადამიანები (65 წელი და ზემოთ);მცირეწლოვანი ბავშვები; ფილტვების ან გულის ქრონიკული დაავადებების მქონე პირები. სხვა ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, რომელთა იმუნური სისტემა დასუსტებულია;ჯანმრთელი ორსული ქალები, განსაკუთრებით ორსულობის მეორე ნახევრიდან

როგორ დავიცვათ თავი ინფიცირებისგან?

გრიპისა და მისი გავრცელების პრევენცია შესაძლებელია: რეგულარულად დაიბანეთ ხელები; სასწრაფოდ გადაყარეთ ნაგვის კონტეინერი, სადაც ათავსებთ გამოყენებულ ხელსახოცებს და/ან ცხვირსახოცებს; თუ თან არ გაქვთ ერთჯერადი ცხვირსახოცი, დაცემინეთ ან ჩაახველეთ მაისურის სახელოზე და არა ხელებზე; დარჩით სახლში თუ გრძნობთ, რომ ხდებით ავად; რეგულარულად გაწმინდეთ ისეთი ადგილების და ნივთების ზედაპირები, რომლებსაც ეხება ბევრი ადამიანი;

ჩიტარეთ გრიპის ყოველწლიური ვაქცინაცია

როგორ ვრცელდება გრიპი?

გრიპის გავრცელება იოლად ხდება ჰაერწვეთოვანი გზით — დაცემინების, დახველების ან უშუალო კონტაქტის დროს. ასევე, ხშირი გავრცელების გზაა, როდესაც ხელით ვეხებით ზედაპირს, სადაც ინფიცირებული ადამიანის ხველის ან დაცემინების შედეგად გამოყოფილი უმცირესი ნაწილაკებია, შემდგომ ამ ხელით ვეხებით ჩვენსავე თვალს, პირს ან ცხვირს.

ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა გადამდები იყოს დაავადების გამოვლენამდეც კი. მოზრდილები გადამდები არიან დაავადების გამოვლენიდან 1 დღით ადრე და გამოვლენიდან 5 დღის განმავლობაში. ბავშვები გადამდები არიან უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში - 10 დღემდე.

რა არის გრიპის სიმპტომები?

ტემპერატურის მატება; თავის ტკივილი; კუნთების ტკივილი; ძლიან ძლიერი სისუსტე; ცხვირის ღრუს დახშობა; ყელის ტკივილი; ხველა.

ცხელება და სხვა სიმპტომები ჩვეულებრივ გრძელდება 7 - 10 დღე. ხველა და სისუსტე შესაძლებელია გახანგრძლივდეს 1 - 2 კვირა და მეტი.

როგორ უნდა მოვუაროთ თავს სახლის პირობებში?

სიმპტომების გამოვლინისთანავე:

დარჩით სახლში მოსვენებულ მდგომარეობაში (ნახევრად წოლით რეჟიმში);მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე (ცხელების გამო სითხის დანაკარგის შევსების მიზნით); არ მოწიოთ და სხვებსაც თხოვეთ, რომ არ მოწიონ სახლში; ისუნთქეთ ტენიანი ჰაერი, დახშული ცხვირის ღრუს გასაწმენდად. ამისათვის ცხელი წყალი ჩაასხით რეზერვუარში და ისუნთქეთ ორთქლი.

ექიმის დანიშნულებით შესაძლებელია მიიღოთ რეცეპტული ანტივირუსული თერაპია (მაგ. ტამიფლუ), თუმცა მისი დაწყება უნდა მოხდეს სიმპტომების გამოვლენიდან პირველი 48 საათის განმავლობაში.

შესაძლებელია მიიღოთ არარეცეპტული „ვაციების და ხველის“ საწინააღმდეგო მედიკამენტები - აცეტამინოფენი (მაგ. ტაილენოლი) ან იბუპროფენი (მაგ. ნუროფენი). გახსოვდეთ, რომ მათი მიღება 6 წლამდე ბავშვებში უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პედიატრთან კონსულტაციის შემდგომ.

დაუშვებელია ასპირინის მიღება 18 წლამდე ასაკის პაციენტებისთვის.

როლის უნდა მივმართოთ დაუყოვნებლივ სამედიცინო დაწესებულებას?

თუ დაგეწყოთ გრიპის სიმპტომები და ხართ გართულებების მაღალი რისკის ჯგუფში;

თუ თქვენი მდგომარეობა უარესდება, კერძოდ: დაგეწყოთ ქოშინი, ჰაერის უკმარისობა, ტკივილი გულმკერდში, გაქვთ გაუწყლოვანების ნიშნები - შემცირებული შარდვა ან/და თავბრუსხვევა.

ისევ ალეგრობის შესახებ

„ალეგრობა“ წლების მანძილზე ოზურგეთში საქალაქო-საქველმოქმედო დღესასწაული და ოზურგეთლებისათვის ნამდვილად ზეიმი იყო. ეს დრო სავარაუდოდ გურიის უკანასკნელი მთავრის მამია მეხუთე გურიელის მთავრობიდან (1809-1826) უნდა ავთვალოთ, რადგან გურიის უკანასკნელი მთავარი ბევრი კულტურული ღონისძიების წამომწყები იყო. როგორც ამბობენ სამამულო ომის დაწყებამ ეს ლამაზი დღესასწაული შეაჩერა, შემდეგ კი დავიწყებას მიეცა.

აქვე უნდა ვთქვათ ისიც,რომ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის დიდი მცდელობის შემდეგ, 2011 წლის ოქტომბერში გახდა შესაძლებელი „ალეგრობის“ გაცოცხლება. ამის შესახებ წერდნენ გაზეთები: „კვირის პალიტრა“, „ალიონი“„ გურიის მოამბე“ და სხვა. „ტრადიცია“ იმდენად ფესვგადგმული აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი გახდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ინიციატივით, მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით 2011 წლის 16 ოქტომბერს „ალეგრობას გაცოცხლებულიყო. ოზურგეთს ახალი სიცოცხლე აჩუქეს გურულებმა“(გაზეთი „გურიის მოამბე“ 42, 24 ოქტომბერი, 2011 წელი).

2011 წლიდან მოყოლებული აღინიშნება ჩვენს ქალაქში „ალეგრობა-ოზურგეთობა“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ფართო საზოგადოება და დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები.

სიტყვა „ ალეგრო „ იტალიურია და ნიშნავს -მხიარულად! „ალეგრობის“ შესახებ მოგონება დაგვიტოვა ქალაქის ყოფილმა ვიცე-მერმა აწ. განსვენებულმა, ბატონმა **თენგიზ კუნჭულიამ,** იგი შემდეგნაირად აღწერს ამ დღესასწაულს:“ ადრე, „ქალაქის ბაღად „წოდებული დღევანდელი „თეატრის ბაღი“, დღესასწაულის დღეს, საზეიმოდ ირთვებოდა ,ყვავილებით, გირლიანდებით და ილუმინა-ციებით. მოდიოდა დიდი და პატარა ოჯახებით,ჩვეულებრივზე ადრე ცარიელდებოდა საპარასკევოდ წოდებული ქალაქის ბაზარი, სამეიტნოები და დუქნები.

ბაღში საგანგებოდ გაკეთებული ფიცარნაგებიდან ისმოდა ვარლამ სიმონიშვილის, არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების ,გიგო მგელაძის, დომენტი ქარჩავას, შერმანდინ ჭკუასელის, ვარლამ ვაშალომიძის, ილარიონ სიხარულიძის, აპოლონ ჩავლეიშვილისა და გურული ჰანგის სხვა ჯადოქართა სიმღერები. იქვე საცეკვაოდ სპეციალურად მორთულ ფიცარნაგზე ნიჟა ლომინაძის ცხემლისხიდელთა მოცეკვავე ჯგუფი ძველებურ „ხორუმსა“ და სხვა ქორეოგრაფიულ მინიატურებს ასრულებდა.

დიდი აუდიტორიის მოზიდვის მიზნით, პოეზიის მიყვარულები ჭადრისა და ურთხმელის ხეებზე ასულნი კითხულობდნენ მამია გურიელის, სიმონ გუგუნავას და საფო მგელაძის ლექსებს.

დღევანდელი თეატრის შენობის ადგილზე არსებული ვაზის ტალავერიდან ისმოდა, ზალიკო თალაკვაძის , ლადუშა ცერცვაძისა და ვანიჩა ჩხაიძის მიერ გიტარაზე ნამღერი: „რა დროს სიყვარულია“ და სხვა იმდროინდელი მელოდიები.

ოზურგეთის თეატრის მსახიობები ვიქტორ ნინიძე, მარო მდივანი, მარო შარაშენიძე, ვასო ურუშაძე, ნუცა თაყაიშვილი, სამსონ ხურციძე, გრიგოლ ღლონტი, ოლია მოლარიშვილი, კუკური შაქარიშვილი, შოთა ჩავლეიშვილი და სხვები, კონცერტმეისტერ თამარ მასლოვასთან ერთად, წარმოადგენდნენ სპექტაკლების მუსიკალურ ნაწყვეტებს და კომიკურ სცენებს.

ბაღის ერთ-ერთ კიდეში აღმართულ იმპროვიზირებულ კინოეკრანზე გერმანე გოგიტიძის კუთვნილ საპროექციო აპარატით უშვებდნენ სიმონ ესაძის მიერ სამხედრო თემატიკაზე გადაღებულ სურათებსა და მუნჯი კინო ქრონიკის სხვა ნიმუშებს.

ჭადრების ქვეშ, ჯიხურში, გასასყიდად გამოტანილი ქონდათ ოზურგეთში კოწია თავართქილაძის სტამბაში დაბეჭდილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართველ ავტორთა სხვა წიგნები. ხეივნებში დადგმულ მოლბერტებზე, ნატურიდან , სახელდახელო ჩანახატებს აკეთებდნენ მხატვრები: ანტონ გოგიაშვილი„ ლადო მალაზონია, ალიოშა მკურნალიძე, შოთა დარჩია. „პოდ დიკიმ სტეპიამ ზა ბაიკალია“– მღეროდა ვანჩკა ასათიანის არღანი. ბაღის მწვანე მოლზე იმართებოდა ცეკვა-თამაში და ჭიდაობა. გრძელი რიგი იდგა კეგლის პავლიონთან,მუშაობდა „მფრინავი ფოსტა“ თამაშთებოდა ლატარეა. ყოველი „ალეგროს“ უცვლელი მონაწილე გახლდათ კიკოლია თაყაიშვილი და მისი „სიკინჭილა“ (სპეციალური მაგიდა ნივთების ლტარეისთვის), ნაძვების ჩრდილში თამაშობდნენ ჭადრაკს, ლოტოს და ნარდს. დიდი პატივი იყო თუ ამ თამაში ჩაებმებოდნენ საქალაქო ხელისუფლების თავკაცები. ადრეულ წლებში პლატონ ბერიძე, შემდეგ კი ვასილ ხუნდაძე. სპეციალურად „ალეგრობის“ დღისთვის მოწყობილ გუბურაში გაუშვებდნენ იხვს, თუ მას სალტის სროლით დაიჭერდი, ის შენი საკუთრება იყო და ოჯახისათვის საცივიც გარანტირებული გქონდა. დამსწრენი მოსვენებას არ აძლევდნენ ოზურგეთელ ფოტოგრაფებს: ბესარიონ ტურძელაძეს, ვანო ნაკაიძეს, გიორგი ჩხარტიშვილს, ხარიტონ ხომერიკს და ვასო ლომაძეს, რომლებიც სამახსოვრო ფოტოსურათებს იღებდნენ.

ყველა ოზურგეთელი ქალი და კაცი ცდილობდა „ ალეგრობის“ დღესასწაულზე თავი მოეწონებინა ახალი ჩაცმა-დახურვით, ეი. „ალეგრობა“ მოდების თავისებური დემონსტრაცია იყო. დღესასწაულის მონაწილე ყველაზე ლამაზ ქალიშვილს პრიზად გადასცემდნენ ქადეიშვილების ოჯახში (ბატონი ქუცა ქადეიშვილის გამზრდელი დეიდა) სპეციალურად გამომცხვარ „სამეფო ტორტს“, შემდეგ კი ოზურგეთის ყველაზე კომფორტული და პრესტიჟული ტრანსპორტით სიმონ გორგოშიძის თეთრი ვარდებით მორთული ფაეტონით მთელ ქალაქს შემოატარებდნენ.

„ალეგრობის“ დღესასწაულში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მუღიათ დასავლეთ საქართველოში საგასტროლოდ მყოფ „მოხეტიალე ცირკისა“ და ბოშათა ჯგუფის მსახიობებს.

ბაღის მთელ სიგრძეზე იდგა მაგიდები,სადაც იყიდებოდა სასმელები და მშრალი საუზმე . ბევრი სტუმარი ჭყვდა იპოლიტე გორდელაძის ლიმონადს, მათე იმედაშვილის ბურახს, ყარამან გობრონიძის ფუნთუშებს, იოსკა დავარაშვილის ნაყინსა და მზესუმზირის გოზინაყს.

ბაღის შესასვლელთან, სოფლიდან ჩამოსულნი ჰყიდნენ ვაკიჯვრის ფიჭვთაფლს, შემოქმედი-გომის სანთლის არაყს, ბახვის ჯანჯუხას, ლიხაურის ტკბილ კვერს ასკანის ფელამუშს და სხვა.

დღესასწაული გვიან ღამემდე გრძელდებოდა, მთავრდებოდა სამეკლისო ცეკვებით, ფოკსტროტითა და ვალსით, რომელშიც თითქმის ყველა დამსწრე მონაწილეობდა. სრულდებოდა სასულე ორკესტრის თანხლებით. XXსაუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან მისი უცვლელი ხელმძღვანელი და დირიჟორი იყო შალვა ხუჭუა.

დღესასწაულის დამთავრებისას „ქალაქის ბაღს“ ცეცხლოვანი ფეიერვერკი აჩირაღდნებდა., რაც უკვე ხალხის წასვლას მოასწავებდა. „ალეგრობის“ ჩატარების ხარჯები იფარებოდა ბილეთების

რეალიზაციით, ლატარიის შემოსავალი, მოქალაქეთა საქველმოქმედო შემოწირულობით მიღებული მოგება გამოიყენებოდა ქალაქის საჭიროებისათვის.

„ალეგრობა“ თითქმის ყველა სოფელში ტარდებოდა, ცნობილია ბახვის ,ლიხაურის, შემოქმედის, კვირიკეთის ალეგროები.როგორც თვითმხილველნი გადმოქვცემენ, ალეგროს ორგანიზატორები წინასწარ ჩამოივლიდნენ მოსახლეობაში, თითოეული ოჯახი თავს მოვალედ თვლიდა საკუთარი წვლილი შეეტანა საქველმოქმედო საქმიანობაში, სწირავდნენ სხვადასხვა სახის სანოვაგეს, ხილს, ქვის კეცზე გამომცხვარ ხაჭაპურს, ქათამს, გოჭს, მთელი ეს სანოვაგე სახელდახელოდ გაკეთებულ ბუფეტში იყრიდა თავს და საგრძნობ შემოსავალს იძლეოდა, რომელიც ხმარდებოდა ეკლესიებსა და გზების გაყვანას.

ალეგრობისათვის დამახასიათებელი იყო „სიყვარულის ფოსტის“, თამაში,რომლის საშუალებით ხდებოდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გაცნობა, რომელიც ხშირად ქორწინებით მთავრდებოდა.კვირიკეთის ალეგროზე გაიცნენ და თავისი ბედი დაუკავშირეს ერთმანეთს ეთერ სვანიძემ და მსახიობმა გიგოლა თალაკვაძემ

ოზურგეთის ალეგროზე გრიგოლ მასარაძემ და ციცო თიკანაძემ.

ცნობილი პედაგოგის მარგალიტა კუნჭულიას მოგონებიდან:“ ჩემი ბავშვობის სიხარული იყო „ალეგრობა,“ რომელიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა.“ მისივე სიტყვებით მეორე მსოფლიო ომმა დაუსვა წერტილი ამ დღესასწაულს.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

ქალთა საფეხბურთო კლუბი “ლანჩხუთი” საქართველოს ჩემპიონია

ალიონი. 9 ნოემბერს საქართველოს ქალთა საფეხბურთო ლიგის მორიგ მატჩში „ლანჩხუთმა“ შინ ფრე 1:1 ითამაშა თბილისის „კვარტალთან.“

„ლანჩხუთმა“ 24 ქულა (7 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება; ბ/შ 26:5) მოაგროვა და ერთი ტურით ადრე გაინაღდა საქართველოს ჩემპიონობა.

ვულოცავთ ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთს“ ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მორიგ ასპარეზობებში.

„კვარტალს“ და „ნიკე ლუსოს“ 20-20 ქულა აქვთ. ბოლო ტურში ისინი ურთიერთშეხვედრაში გაარკვევენ II-III ადგილების ბედს.

საქართველოს ჩემპიონი „ლანჩხუთი“ 16 ნოემბერს, ბოლო ტურში, სტუმრად „ბათუმს“ შეხვდება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა გრძელდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით:

მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესაძლებლობას აძლევს 2025 წლის ბოლომდე, სრულიად უფასოდ აზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთი

მზე +5+16
13 ნოემბერი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი +5+17
7 ნოემბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +6+17
8 ნოემბერი
პარასკევი

წვიმა +8+15
9 ნოემბერი
შაბათი

მზე, ღრუბელი +3+13
10 ნოემბერი
კვირა

წვიმა +6+10
4 ნოემბერი
ორშაბათი

წვიმა +2+6
5 ნოემბერი
სამშაბათი